აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა WEB ვერსია

შესავალი

პროგრამა შექმნილია პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ, რომელშიც მონაწილეობდნენ აღნიშნული უნივერსიტეტის არჩეული და მოწვეული აკადემიური შტატის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. პროგრამა შინაარსით და ფორმით შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განითარების გეგმას და ეფუძნება მედიცინის ეროვნულ დარგობრივ მახასიათებელს. პროგრამა უნივერსიტეტის ყველა წევრის კოლექტიური შრომის, განსჯის, განხილვის შედეგია და ეფუძნება სამედიცინო განათლებაში მონაწილეობით დაგროვებულ საკუთარ გამოცდილებას, და ამავდროულად საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ თანამედროვე მიდგომებს.

პროგრამის საჭიროება

სამედიცინო საქმეს და საქმიანობას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თუმცა ევროპის ამ ნაწილში გასაგები ისტორიული მიზეზების გამო სამედიცინო დარგში ფორმალური სწავლება სულ დაახლოებით 100 წელს ითვლის. ამასთან ჩვენს ქვეყანას თანამედროვე ეტაპზე სწრაფი და გააზრებული, უკვე არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული ნაბიჯების გადადგმა უწევს, რათა გლობალიზაციის ეპოქაში არსებულ გამოწვევებს სათანადოდ უპასუხოს: თვითგანვითარდეს და ხელი შეუწყოს სხვათა განვითარებას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სტრატეგია განათლების დარგში ხელი შეუწყოს უცხოელ აბიტურიენტთა მოზიდვას სწორია და ორიენტირებულია განვითარებაზეა. ამის ბევრი არგუმენტი არსებობს, რომელთაგან ორის მოყვანაც, ალბათ, საკმარისია: (1) ქართველ სტუდენტებს (ისევე როგორც უცხოელებს) უნდა ჰქონდეთ კონკურენტუნარიან გარემოში სწავლისა და განვითარების საშუალება; (2) ქართველ პედაგოგებს (მათ შორის სამედიცინო განათლებაში ჩართულთ) უნდა ჰქონდეთ უფრო ფართო კონტაქტები და გამოცდილების დაგროვების/გაზიარების საშუალებები. პროგრამის მდგრადობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა შემდგომი შრომითი უზრუნველყოფის საკითხი და უნივერსიტეტის ამოცანა სწორად პასუხობს 21-ე საუკუნის შემდგომ გამოწვევებს:

- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით 2030 წლამდე ევროპაში ექიმთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს 600000-ით
- მსოფლიოს ყველა რეგიონში იზრდება მოთხოვნა ექიმებზე (განსაკუთრებით ეს მოთხოვნა გაიზარდა და მომავალში ეს ზრდის ტენდენცია აშკარად იქნება შენარჩუნებული თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევის - პანდემიის გამო)
- მთელ მსოფლიოში (გარდა აშშ-სა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნებისა) ექიმის პროფესია ამჟამად დეფიციტურია და დაახლოებით 2.6 მილიონი ექიმი „აკლია“ მსოფლიოს.

პროგრამა

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ერთსაფეხურიან უმაღლეს სამედიცინო განათლებას, რომლის წარმატებულად დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი. სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მიხედვით, ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ ექიმს), არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. ამავე კანონის მიხედვით „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი“ (რეზიდენტურის გავლის შემდგომ).

დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:

- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად: უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე გამოცდილი ექიმის ზედამხედველობით, მითითებითა და პასუხისმგებლობით.
- პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა: დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება, ან გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.

პროგრამის ხანგრძლივობა და კრედიტების მოცულობა

- დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა 6 წლიანია და მოიცავს 360 კრედიტს.
- სასწავლო წელი მოიცავს 40 სამუშაო კვირას (240 სამუშაო დღეს) და შედგება ორი სემესტრისგან – შემოდგომის სემესტრი (20 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (20 კვირა). სემესტრებს შორის არდადეგებია.
- კლინიკურ კურსებზე სწავლება ძირითად მიმდინარეობს კურაციული წესით.
- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით სასწავლო წლის თითოეული 20 კვირიანი სემესტრის სასწავლო მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს, რომელიც გადანაწილებულია სასწავლო მოდულებზე და კურსებზე, ხოლო წლიური მოცულობა – 60 კრედიტს.
- 1 კრედიტი 30 სამუშაო საათია, საათების განაწილება საქონტაქტო და არასაკონტაქტო საათებად დამოკიდებულია სასწავლო კურსზე და მის შინაარსზე. კურსების დიდი უმრავლესობისთვის 16 საათი საკონტაქტოა, ხოლო 14 საათი გამოყოფილია სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების პირობები განისაზღვრება საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის შესაბამისად და საქართველოს მოქალაქეებისათვის მოითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატის ქონას და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებას. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია განხორციელდეს, აგრეთვე, მობილობის წესით ჩარიცხვის გზით. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს ინგლისურ ენაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების **პირველი განსაკუთრებული პირობა** ეხება ინგლისური ენის ცოდნის დონეს. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვისას ინგლისური ენის კომპეტენციის მინიმალური ზღვარი შეადგენს ინგლისური ენის გამოცდის მაქსიმალური ქულის 80%-ს. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირები პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ინგლისურის ენობრივი კომპეტენციის სულ მცირე B1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის კომპეტენციის განმსაზღვრელი გამოცდა, რომლის ადმინისტრირებას უზრუნვეყოფს უნივერსიტეტი.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების **მეორე განსაკუთრებული პირობა** ეხება საბაზო დისციპლინებში (ბიოლოგია, ქიმია) ცოდნის დონეს. პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხვისას აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ბიოლოგიის და ქიმიის გამოცდა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეული საგნისათვის შეადგენს ამ გამოცდის მაქსიმალური ქულის 50%-ს. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირები პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვებისათვის ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ბიოლოგიის და ქიმიის საგნებში კომპეტენციის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, იმ ქვეყნის ერთიანი გამოცდების შედეგები, საიდანაც არიან აბიტურიენტები) ან უნდა ჩააბარონ ამ საგნებში კომპეტენციის განმსაზღვრელი გამოცდა, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მთავარი მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სამედიცინო კადრები. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებია:

1. კურსდამთავრებულთა აღჭურვა სამედიცინო საქმიანობისთვის აუცილებელი ცოდნით საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში;
2. კურსდამთავრებულთათვის სამედიცინო განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარება;

3. კურსდამთავრებულებში პროფესიული ეთიკის და პროფესიონალიზმის ნორმების ჩამოყალიბება და განვითარება;
4. კურსდამთავრებულებში სტანდარტულ და არასტანდარტულ სიტუაციებში გარკვევის და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება;
5. კურსდამთავრებულებში მუდმივი პროფესიონალური განვითარებისათვის მზაობის ფორმირება.

პროგრამის შინაარსი, აღწერა და ორგანიზაცია

პროგრამის ინტეგრაციული სტრუქტურა ემსახურება ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურის, ფუნქციონირებისა და განვითარების გაცნობიერებას ორგანიზაციის ყველა (მოლეკულურიდან მთლიანი ინდივიდის) დონეზე. ასევე ფოკუსირებულია დაავადებათა, დაზიანებათა და განვითარების დარღვევებთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და მათ მკურნალობაზე, გამოსავალზე მოქმედ შიდა და გარე ფაქტორებზე. სწავლების საწყის ეტაპზე საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები ძირითადად ინტეგრირებულია „ზოგად“ (შესავალი) და „სპეციალურ“ მოდულებში. **ზოგადი** მოდულები შესავალ, აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს ერთის მხრივ სამედიცინო დისციპლინასთან აუცილებელ „წვდომის“ შენარჩუნებისა და მისი ზოგადი გაცნობიერებისთვის, და ამავდროულად ემსახურება (პრერეკვიზიტია) სპეციალურ მოდულში ორგანიზებული კურსების შინაარსის ინტეგრირებულ გაცნობიერებისათვის. მოდულების პროგრამული „განლაგება“ ხელს უწყობს „ზეასვლას“ და ამასთან, ფოკუსირებულია სამედიცინო მეცნიერებათა იმ საკითხებზე, რაც საფუძველია სამედიცინო პრაქტიკის, ჯანმრთელობისა და მისი ხელშეწყობის, აგრეთვე დაავადებების, ტრავმებისა და უუნარობის პრევენციისა, დიაგნოსტიკისა და მართვის სიღრმისეული გაცნობიერებისთვის. **სპეციალური** მოდულები, ფარავს ადამიანის ორგანიზმის სისტემებს. ამასთან, თითოეული მოდული რიგ შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტ სისტემას. პროგრამის ვერტიკალზე მოდულების რამოდენიმეჯერ გამეორება ხდება მათი ცოდნისა და უნარების გაღრმავების მიზნით (შედეგად აგებულია სპირალური კურიკულუმი).

მთლიანობაში დიპლომირებული მედიკოსის სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხული ემსხურება (i) კლინიკური პრობლემის და/ან სამედიცინო თემის კონტექსტში საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირების ხელშეწყობას პირველი საფეხურის შესაბამისად; (ii) მათი კლინიკური სწავლებისა და პრაქტიკის ეტაპისთვის და (iii) შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის.

კურიკულუმის მოდულები ორგანიზებულია 6 უმნიშვნელოვანესი მიმართულების ირგვლივ: სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის კონტროლი, სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის შენარჩუნება, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის უზრუნველყოფა. მოდულებში სწავლება უზრუნველყოფს კლინიკური საქმიანობისთვის ღირებული ცოდნის და პრაქტიკის თანდათანობით დაუფლებას სამედიცინო სერვისების უმთავრეს სფეროებში.

სასწავლო ამოცანების მონაცემთა ბაზა და მენეჯმენტი

სწავლის მოსალოდნელი შედეგები და სასწავლო ამოცანები/პრობლემები განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში და მასთან წვდომა ექნება ყველა სტუდენტს. მას სტუდენტების გამოიყენებენ მოდულის/კურსის შინაარსის საფუძვლიანად თვისებისათვის. სტუდენტებისთვის ის ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება იმის გასაცნობიერებლად რამდენად შეიძინეს სათანდო ცოდნის საფუძველი, საჭირო სამედიცინო პრაქტიკის უსაფრთხოდ და კომპეტენტურად განხორციელებისთვის. რეგულარულად (სემესტრულად) ჩატარდება აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვა, რათა არსებობდეს რწმენა, რომ მათ მიერ მიწოდებული სასწავლო სესიები და საგამოცდო კითხვები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმის ძირითად შინაარსთან.

სწავლება სამედიცინო საბაზისო მეცნიერებებსა და კლინიკურ მეცნიერებებში

პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბაზისო სამედიცინო მეცნიერების და კლინიკური მეცნიერებების და კლინიკური უნარების შესწავლას. საბაზისო მეცნიერებებსა და კლინიკურ მეცნიერებებში სწავლება, მათ შორის საკლასო ფორმატში განხორციელებისას გულისხმობს სამედიცინო დარგისთვის, პაციენტის შემთხვევის (Case Based Learning) ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციის განსჯას, რაც უმრავლეს შემთხვევაში ეფუძნება მაგალითებზე განხილვის (და/ან მაგალითების შეფასებით მიღებულ ცოდნას) და მისი კლინიკური მნიშვნელობის გაცნობიერების შეფასებას. ამავე დროს, თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულარულად იქნება გამოყენებული პრობლემების შესწავლის და ანალიზის მეთოდი (Problem Based Learning), როდესაც სტუდენტები დამოუკიდებლად (მცირერიცხოვან ჯგუფებში) განიხილავენ კონკრეტულ პრობლემებს, დასახავენ მისი გადაჭრის გზებს და მოქმედებების თანმიმდევრობას. ორივე ზემოთხსენებული მეთოდის გამოყენება დაგეგმილია სწავლების პირველივე კურსიდან.

სხვადასხვა საგნებში მითითებული კლინიკური უნარების შესწავლა მოხდება იმ კლინიკებში, რომლებიც შესაბამისი საგნისათვის არის რელევანტური. ამდენად, კლინიკური პროცედურების და უნარების გამომუშავებისთვის სტუდენტებს ექნებათ სათანადო კლინიკურ ცენტრებთან წვდომა. ასევე სტუდენტებს ექნებათ წვდომა ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზირებულ პაციენტებთან (უნივერსიტეტის საკუთარ კლინიკურ ბაზებსა და აფილირებულ ბაზებზე), რათა ჰქონდეთ პრაქტიკა და კლინიკურ და კომუნიკაციურ უნარებში კომპეტენციათა განვითარების საშუალება. ამავე ბაზებთან წვდომა და კლინიკური როტაცია:

- სტუდენტებს მისცემს საშუალებას შესაბამის ცოდნის საფუძველზე სიღრმისეულად გააცნობიერონ ხშირი სამედიცინო პრობლემები
- დაეხმარება სტუდენტებს ავადმყოფის საწოლთან კლინიკური განსჯისა და პრობლემის გადაჭრის უნარების გამომუშავებაში
- საშუალებას მისცემს სტუდენტებს გააცნობიერონ სამედიცინო მოვლის პრინციპები, ჩამოაყალიბონ მართვის გეგმები
- დაეხმარება სტუდენტებს გამოიმუშავონ პროფესიულ ღირებულებებსა და ქცევაში მაღალი სტანდარტები ზოგადად ჯანდაცვასა და ჰოსპიტალურ გარემოში მტკიცებულებაზე-დაფუძნებული და ეთიკური მიდგომების გამოყენებით.

სამეცნიერო კომპონენტში განვითარება

სამეცნიერო კომპონენტში სწავლება/სწავლისთვის ორგანიზებულია სამედიცინო მეცნიერებებში კვლევის საფუძვლების კურსი (სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, ბიოსტატისტიკა, სამეცნიერო კვლევით ნაშრომზე მუშაობა და კომუნიკაცია), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მედიკოს-სტუდენტებს სამეცნიერო კომპეტენციის გამომუშავებაში, რაც მნიშვნელოვანია მათი მომავალი საექიმო საქმიანობისთვის: სამედიცინო მეცნიერებებში სამედიცინო პრაქტიკისთვის ღირებული თანამედროვე კვლევათა შედეგების სწორი აღქმისა და პროფესიული განვითარებისთვის, საკუთარი და სხვისი საქმიანობის შედეგების კრიტიკული განსჯისთვის, კლინიკური აუდიტისა და პაციენტის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით უსაფრთხო კლინიკური პრაქტიკის განხორციელების ხელშეწყობისთვის.

ზოგადი კურსები და არჩევითობა

პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი განათლების კურსები და აგრეთვე პროგრამაში ჩართულია კურსები სტუდენტის არჩევანის შესაძლებლობით. არჩევანი ემსახურება სამედიცინო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვანი თემების სიღრმისეულ გაცნობიერებას (კონკრეტულ სპეციალიზაციაზე მეტი აქცენტირებით) და ასევე ემსახურება სტუდენტის მომავალი კარირეული განვითარებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას.

დამამთავრებელი კურსი

პროგრამის მეექვსე წელი ითვალისწინებს როტაციული წესით კლინიკურ პრაქტიკასა და პაციენტის მოვლაში ზედამხედველობით მონაწილეობას შემდეგ სამედიცინო სპეციალობებში: შინაგანი სნეულებანი, ქირურგია, პედიატრია, მეან-გინეკოლოგია, ინფექციური, ნევროლოგია. დამამათავრებელი წლის მიზანია სტუდენტის მიერ საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებებში დაგროვებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობათა კონსოლიდაცია. ამის გამო, დამამთავრებელ კურსზე სწავლის გაგრძელებისათვის, სტუდენტს აუცილებლად უნდა დასრულებული ჰქონდეს წინა კურის ყველა მოდული. სტუდენტი შესრულებულ სამუშაოს (მონაწილეობა პაციენტის მოვლაში, ნანახი და/ან მისი მონაწილეობით ჩატარებული პროცედურები), ასევე რეალური პაციენტის ქეისებს (მათი დიაგნოსტიკის, მართვის, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს) განსჯის კრიტიკულად, ასახავს პორტფოლიოში/ლოგ-ბუკში); ექნება მათ მიერ შესრულებულ დავალებებზე უკუკავშირი კლინიცისტი-პედაგოგისგან, მათი განხილვის და შეფასების საშუალება.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ლექციები: ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას, რაც მიიღწევა ლექციების მრავალფეროვნებით და ინტერაქტიული სახით. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით. საკუთრივ ლექციების რაოდენობა სხვადასხვა სასწავლო კურსში სხვადასხვაა და ახასიათებს კლებადი დინამიკა

სამუშაო ჯგუფში მუშაობა: აერთიანებს სწავლების ყველა იმ მეთოდს, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, ხელს უწყობს თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლას, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. თვით სამუშაო ჯგუფში მუშაობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდებით, რომელთაგან ძირითადი მეთოდები და ფორმები მოყვანილია ქვემოთ:

- **სემინარი:** სტუდენტებს მიეცემათ ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის წამყვანი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.
- **პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა:** პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია.
- **როლური თამაშები:** სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.
- **აუდიო-ვიზუალური მეთოდი:** მეცადინეობებზე გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, სლაიდები, პრეზენტაციები, სასწავლო ვიდეო-ფილმები და პროგრამები
- **დისკუსია:** მეთოდი ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს დებატებში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- **სამედიცინო პრობლემების და ქეისების განხილვაზე დაფუძვნებული სწავლა (PBL, CBL):** მეცადინეობების დროს სამედიცინო/კლინიკურ პრობლემაზე ფოკუსირებით ხდება მასალის მიწოდება და/ან განსჯა, და/ან შეფასება, თემის სიღრმისეული გაცნობიერებისა და მომავალში (პაციენტის საწოლთან) შესაბამისი გამოყენების შესაძლებლობებისთვის. სწავლების ასეთი მეთოდი სასწავლო პროცესს აკავშირებს გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების გადაჭრის პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან, რაც ესოდენ საჭიროა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მედიცინაში. შესაბამისი კურსის ხელმძღვანელთან/ტუტორებთან მუშაობის პროცესში სტუდენტები განიხილავენ რეალურ კლინიკურ შემთხვევებს, აყალიბებენ შესაძლო პრობლემებს, განიხილავენ სავარაუდო დიაგნოზს, დიაგნოსტიკურ მეთოდებს, სწავლობენ მკურნალობის გეგმას, ისმენენ სხვათა მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ამ მეთოდის გამოყენების შედეგად სტუდენტებს უჩნდებათ მოტივაცია უფრო ღრმად ჩასწვდნენ პრობლემის არსს, მოიძიონ და შეისწავლონ სხვადასხვა ლიტერატურა და ქეისები დამოუკიდებლად იმისათვის, რომ მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება და დაიცვან ასეთი გადაწყვეტილება, დააკავშირონ საბაზისო საგნების თეორიული ცოდნა კლინიკურ საგნებთან, განივითარონ დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარები.

  სწავლებაში გამოყენებული კლინიკური ქეისების და პრობლემების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია: შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის აღებული. მათზე მუშაობა სტუდენტს საშუალებას აძლევს, მოახდინოს მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება რეალურ ცხოვრებასთან. სწავლება/სწავლის პროცესში სტუდენტი სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება: სტუდენტი (ჯგუფთან ერთად) არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება. CBL და PBL მეთოდები ნამდვილად სასარგებლოა და საინტერესოა სტუდენტებისათვის და ზრდის მათ შინაგან მოტივაციას და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

  PBL და CBL სესიების დროს სტუდენტები მუშაობენ მცირე ჯგუფებში (სხვადასხვა საგანში ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობა შესაძლოა იყოს 5-დან 8-მდე). სტუდენტები მუშაობენ ჯგუფურად მასწავლებლის/ტუტორის დახმარებით კლინიკური პრობლემების/შემთხვევის სერიებზე. ისინი თანმიდევრულად გამოავლენენ სასწავლო ამოცანას, მოიძიებენ საჭირო ინფორმაციას (მათ შორის პაციენტთან ურთიერთობით), ადგენენ უკუკავშირებს და მათი გამოყენებით წარმოადგენენ პრობლემის/შემთხვევის ანალიზს და გადაჭრის გეგმას. როგორც წესი, PBL და CBL სესიები არის რამდენიმე თანმიმდევრული შეხვედრების საგანი: პირველ შესხვედრაზე ხდება პრობლემის დასმა ტუტორის მიერ და სტუდენტები განიხილავენ პრობლემას, დასახავენ გადაჭრის შესაძლო გზებს და ინაწილებენ დავალებებს. შემდგომ შეხვედრებზე ხდება თითოეული სტუდენტის მიერ მასალის მოწოდება და განხილვა, რასაც მოყვება შესაბამისი დაზუსტებები პრობლემის საბოლოო გადაჭრისათვის.

- **კომპეტენციებზე დაფუძვნებული სწავლა:** სტუდენტებს მიეწოდებათ აუცილებელი სამედიცინო პროცედურების ჩატარებაში ტრენინგი (სათანადო ტრენინგის მიწოდებისთვის აფილირებულ დაწესებულებებში). ასევე მათ საშუალება ექნებათ ჯერ თეორიული კურსის ფარგლებში, შემდგომ კლინიკური როტაციებისა და პრაქტიკის ეტაპებზე წვდომა ჰქონდეთ ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ პაციენტებთან, ასევე კოლეგებთან (ექიმი, ექთანი, სამედიცინო ჯგუფების სხვა წევრები) აუცილებელი პროფესიული კომპეტენციების განვითარებისთვის (სწავლა და პრაქტიკა უნივერსიტეტის საკუთარ სასწავლო ბაზებსა და აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებში). ეს მნიშვნელოვანია კლინიკური უნარ-ჩვევების დაუფლებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების განვითარებისათვის.
- **დამოუკიდებელი სწავლა:** სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა. სტუდენტები ხელშეწყობილი და სტიმულირებულნი იქნებიან დამოუკიდებელ სწავლაზე: ექნებათ წვდომა წიგნებზე, სამედიცინო ჟურნალებზე, პაციენტის ინფორმაციაზე.
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)**: გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით.
- **პაციენტზე ორიენტირებული სწავლა:** კლინიკური უნარ-ჩვევების სიმულაციური და სტანდარტიზებული პაციენტების ქეისების საშუალებით შესწავლის შემდეგ სტუდენტები ისწავლიან რეალურ პაციენტებზე (ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია). პაციენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სტუდენტის სწავლაში, რადგან აღძრავენ სტუდენტში შეკითხვებს, რომელთანაც მას (სტუდენტს) გამკლავება (ინფორმაციის მოპოვება, განხილვა, ა. შ.) უწევს.
- **კლინიკური გამოცდილების შეძენა:** სწავლების დროს აქტიურად ხდება სიმულატორების და მულაჟების გამოყენება საბაზისო კლინიკური ჩვევების გამოსამუშავებლად. ამავე დროს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სტუდენტების მიერ რეალური კლინიკური გამოცდილების შეძენას. სტუდენტები უფრო შედეგიანად სწავლობენ, როცა აქვთ კლინიცისტის პაციენტთან მუშაობაზე დაკვირვების შესაძლებლობა. თავისთავად მარტო პასიური დაკვირვება არ არის საკმარისი, შესაბამისად სტუდენტმა უნდა განსაჯოს და ასახოს (პორტფოლიოში) რა ნახა და რა ისწავლა. სტუდენტებმა უნდა შეიძინონ რაც შეიძლება მეტი გამოცდილება პაციენტებთან კომუნიკაციით. ამისთვის ისინი ექიმის მითითებით ასრულებენ გარკვეულ დავალებებს, შემდგომ განიხილავენ პედაგოგებსა და სხვა სტუდენტებთან (მაგალითად, ამზადებენ რეალური პაციენტის ქეისებს და წარმოადგენენ განხილვისთვის), რაც ასევე ხელს უწყობს ჯგუფში მუშაობის უნარის განვითარებას.

შეფასების პრინციპები

შეფასების სისტემა გულისხმობს კურიკულუმის შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შეფასებას, როგორც ფორმატული (მიმდინარე), ასევე შემაჯამებელი შეფასების გამოყენებით (მათ შორის, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ფორმით იმ საგნებში, რომელიც უშუალოდ პრაქტიკული კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება). დეტალურად ეს ყველაფერი გაწერილი იქნება შესაბამისი კურსის სილაბუსში.

ფორმატული შეფასებები გამოიყენება, რათა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და უპირველეს ყოვლისა სტუდენტი დაუყოვნებლივ იყოს ინფორმირებული საკუთარი პროგრესის შესახებ; და შეფასების შედეგების მიხედვით ინდივიდუალური სტუდენტისთვის განმეორებითი სწავლის გადაწყვეტილება იყოს მიღებული პრობლემათა აღმოფხვრის მიზნით.

სტუდენტი მოდულში/კურსში ფასდება მეცადინეობებზე აქტიურობის და შესრულებული დავალებების მიხედვით, ასევე პედაგოგის მიერ ზეპირი ან წერითი გამოკითხვით და სათანადო მუშაობით (დადებითი ნიშნები მიმდინარე შეფასებაში) გამოიმუშავებს დასკვნით გამოცდაზე დაშვების უფლებას. მოდულში შემავალ საგნებში დასკვნითი გამოცდა კომბინირებულია: შეიცავს ტესტებს და ღია კითხვებს და, შესაძლოა ქეისების ანალიზს. კითხვები ორგანიზებულია გავლილი კურსის მასალის რელევანტურად. მიმდინარე და დასკვნითი გამოცდის ქულები ქმნიან მოდულში (ასევე მოდულში შემავალი საგნების) სემესტრულ შეფასებას. ყველა მოდულში დადებითი შეფასება სწავლების შემდგომ სემესტრში სტუდენტის დაშვების საფუძველია.

შეფასების მეთოდები დეტალურად აღწერილია თითოეული კონკრეტული კურსის სილაბუსში და ძირითად შედგება შემდეგისაგან:

- მრავალვარიანტული ტესტური შეკითხვები, სადაც მოკლედ ფორმირებულ კითხვაზე, სტუდენტი შესაძლო პასუხებიდან არჩევს ერთ საუკეთესოს.
- ღია კითხვები, სადაც სტუდენტი მოკლედ პასუხობს კითხვის შინაარსიდან გამომდინარე და წარადგენს მას ზეპირად ან წერილობით.

- ქეისების ანალიზი, სადაც სტუდენტი აანალიზებს კონკრეტული შემთხვევას მისი შინაარსიდან გამომდინარე და წარადგენს ზეპირად ან წერილობით.
- PBL სესია: სადაც სტუდენტები გაიზრებენ პრობლემას, შეარჩევენ პრობლემის გადაჭრის რელევანტურ მეთოდებს, გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს და ჩამოაყალიბებენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.
- ობიექტურად სტრუქტურირებული (OSCE) გამოცდები: გამოცდის დროს სტუდენტები ახდენენ კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრაციას სიმულატორების გამოყენებით ან სტანდარტიზებული პაციენტის როლის შემსრულებელ პირებზე;
- პირდაპირი დაკვირვების ანგარიში: მტკიცებულებათა შეგროვება, რაც ამტკიცებს სტუდენტის ანალიზის და შეძენილ გამოცდილებაზე რეფლექსიის უნარს და შესაძლებლობას. აღწერს რამდენი პაციენტი ნახა (და ან მონაწილეობა მიიღო მართვაში) სტუდენტმა, რა დიაგნოზებით, რა პროცედურები ნახა (და ან მონაწილეობა მიიღო), ა. შ.. სამედიცინო კომპეტენციაში (ურთიერთობა პაციენტთან, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ა. შ.) სტუდენტი ფასდება პედაგოგის მიერ.

მოდულის ერთიანი შეფასება გამოითვლება მასში შემავალი საგნების საბოლოო შეფასებების შეწონილი საშუალოს მიხედვით, რაც დამოკიდებული იქნება ამ მოდულში შემავალ საგნებზე და მათ კრედიტებზე. დავალებებს/კითხვებს ამზადებს/ებენ კურსის წამყვანი პედაგოგები სილაბუსის შინაარსის შესაბამისად იმგვარად, რომ დაფარული იყოს სილაბუსის მიხედვით გამოყოფილი ყველა სწავლის შედეგი.

OSCE-ს გამოცდები

უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ OSCE-ს გამოცდებს სათანადო მომზადება ესაჭიროება და უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობს ამ მიმართულებით: შექმნილია კლინიკური გამოცდების ცენტრის დებულება და დანიშნულია მისი ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს OSCE-ს გამოცდების ჩატარების გამოცდილება.

ამჟამად დაგროვებულია დიდი საერთაშორისო გამოცდილება და არსებობს შესაბამისი გაიდლაინები და მოთხოვნები, ისევე როგორც ქეისები და ტიპური შეკითხვები და მათი შეფასების მეთოდები. ჩვენს რამდენიმე თანამშრომელს გააჩნია OSCE-ს გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების გამოცდილება სხვადასხვა უნივერსიტეტებში. მომზადებულია OSCE-ს ტიპის გამოცდების ჩატარების ინსტრუქციები. ტარდება და დაგეგმილია შესაბამისი ტრენინგების ჩატარება და ჩვენი თანამშრომლები ამ ტრენინგებს გაივლიან.

კლინიკური გამოცდების ცენტრის ფუნქციონირებისათვის გამოყოფილია შესაბამისი ფართი და დადგენილია აღჭურვილობა და მასალები, რაც საჭიროა ამისათვის. ის აღჭურვილობა, რაც ამჯერად ჯერ არ არის უკვე შეკვეთილია. უნივერსიტეტი გეგმავს მომავალში პარტნიორ დაწესებულებებთან და უნივერსიტეტებთან ერთობლივი მუშაობის და კოოპერაციის გზით შეძლოოს OSCE-ს სრულფასოვანი გამოცდების ჩატარება.